

579
1986/2

ISSN 0132-5
საბავშვო
საგაზეთო
საბჭო



1986 წლის 11-ე ნომერი

საბავშვო
საგაზეთო
საბჭო

პირველი

სეიმი შინ და გარეთ

— ქუჩებში და მოედნებზე
ნეტავ ეს რა ხმურია?!

— ოქტომბერი მოახიფებს,
დიდი დღესასწაულია!

მაღალ ხანლებს სიმღერებით
აუკვლიან, ჩაუვლიან...

ზეიმა შინ და გარეთ,
დიდი დღესასწაულია!

შატარებსაც დიდებისთვის
ხელი ხელში ჩაუვლიათ;
ოქტომბერი მოუგუნებს,
დიდი დღესასწაულია!



ილია ჭავჭავაძე • 150 •



პიპი პეპეპორო

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

„შვარლის მთებს“
შენხედრად გრიგოლ
ორგელიანთან. პე-
ტარბურბი. სტუმ-
რობა ცარსკოა სე-
ლოში. გარიგალ-
დი.

ად მიუვარს ალაზხა-
ნი, შრიალა ვერსე-
თა შორის მოდუღუ-
ნუ, ჩამოყოლებული
ერთის მხრივ აჭრე-
ლებულის ველით,
მეორეს მხრივ კი
აბუხილი ჭაღით, ხაიდანაც
მის წიაღში ჩაიუვრება ტოტე-
ბდაშუბული მტირალა ტირი-
ფი, ძკლავებამლილი რცხი-

ლა და მუხა ამაჟი, წასუ-
ლი შორს, მდღლა ცისკენ?
რად მიუვარს ალაზხანი,
რომელსაც თავს გადმოსცქე-
რის მწვერვალგაუთურებელი
და კალთებდახურმუხტებელი
მთა გომბორისა, მთა კავკასი-
ონისა?

... ის ხომ იმ მთების შვი-
ლია, ხადაც მეც დავიბადე;
მან ხომ იმ მთებში აიგვა ფე-
ხი, რომელთა კალთებზედაც
თვით მე გავიზარდე ...

დაის, მე და ის ერთის მშო-
ბლის შვილები ვართ—ერთის
სამშობლოსი, მისი მუშუთი
გაზრდილები და ამიტომ მიუ-
ვარს ალაზხანი!—ასე წერს
ალაზხანზე ცნობილი ქართვე-
ლი მწერალი იროდიონ ევ-
დომოილი, რომლის „უბედუ-
რი ქორბუდა“, „კაკანათი“,
„ჩვენი ნიშა“, „ჭკვანთი ბახა-
რა“, „მწვემსი გუნა“ და სხვა
მოთხრობები თქვენ უთუოდ
წაკითხული გაქვთ, ბავშვებო!
იროდიონ ევდომოილი ალაზ-
ხანს ზირას იყო გაზრდილი და
ამიტომ გაუმძღავენა ალაზხანს
გულმსურვალედ თავისი სიუ-
ვარული.

ილია ჭავჭავაძემ უფრო
ადრე უთხრა ალაზხანს: „მდი-
ნარეუ, ჩემის მშობლიურ მთის
ცრემლით შემდგარო!“ ალა-
ზხანი ხომ ილიას მშობლიური
ევარლის მთების შვილია.
სწორედ ევარლის მთებს გა-
მოეთხოვა გულისტკივილითა
და სიუვარულით რუსეთში სახ-
წაულებლად მიმავალი ილია.

ჩემი ცხენის უოველი ნაბი-
ჯი თქვენთან მამორებს, ეო-
ველ წუთს გარგავთ და ეოვე-
ლი წუთი მათობლებს... აჯერ
თანდათან ჰქრებით, თქვენს
მწვერვალებს ძლივსდა ვარ-
ჩეკ... წუთიც! და მხოლოდ
ლურჯ ცასდა დავიხანავ...
„სამშობლო მთებო!—მი-
მართავს ილია ევარლის
მთებს — თქვენი შვილი განე-
ბებთ თავსა, მაგრამ თქვენს
სსოვნას ვერ მივცემ მე და-
ვიწყებანს...“ მე თავი იმით
მომწონს, რომ თქვენს შორის
დავიბადე, „ბუნებისა თქვენის
ვარ შვილი, გრივალთა, მენ-
თა, ქუხილთ შორის ქართუ-
ლად გაზრდილი...“

... ეს იყო 1857 წლის ზაფ-
ხულში. ილია ჰეტერირებში

საქართველოს
საბჭოთაო მუზეუმი



გუმუზავრა, როგორც თვითონ ამბობს, „ჭკუის საფარჯიმოდა“. მას უნდოდა რუსეთში გატარებული წლები რივიანად მოესმარა, ცხოვრების საძირკვლად, ცხოვრების წესად, სათავედ გამოეყენებინა, რადგან ჭკუივარჯიმი და განათლებული უფრო მეტ სამსახურს გაუწევდა თავის ქვეყნას. მისი სიცოცხლე კი, მისი დრმა რწმენით, მხოლოდ სამშობლოს ეკუთვნოდა. „გლახის ნაამბობი“ ილია აღმწრდელს ათქმევინებს საკულისხმო სიტყვებს: „სიცოცხლე ჩვენი, ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის...“



თუ როგორ განიცდიდა მშობლიურ ქვეყანასთან განშორებას ილია, ეს კარვად ჩანს დისადმი მიწერილ წერილში: „... ვაწირობ წასვლას რუსეთში... მაგრამ ისე შეძლება დატოვება ამ ჩვენი ევარლისა, ნამეტნავად ამ ჩვენი სასლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალავისა მომავლანებს სიღმე ჩემს დუდგრომულ უმაწვილობის დროს, სადაც ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოკონებითა...“

რუსეთში მიმავალ ილიას საქართველოს სამხედრო გზაზე შემოხვედრია სახელოვანი ქართველი ჰოეტი გრიგოლ ორბელიანი. კავკასიონზე ახვალა რომ დაეწვეთ, იგონებს ილია, მლეთის დაღმართზე

რუსეთიდან მომავალი გრიგოლ ორბელიანი შემოვუვარა, ფეხით მოდიოდა, ზურგსუკან ხელშემაწობილი, ზირმდიმარე, დაფარული, მოშორებით ეტლი მოსდევდა ხელა. ილიას გრიგოლ ორბელიანი სწორედ იქ უხანავს, სწორედ იმ კარვამში, რომელიც ასე კარვად აქვს აღწერილი თვით გრიგოლ ორბელიანს: კავკასიონის მთები და შავი ღრუბლები, რომლებიც ქვეყნას მრისხანედ ეშუქრებოიან... მლეთის დაღმართზე თითქოს ერთმანეთს შეხვდა საქართველოს წარსული დიდება და საქართველოს მომავალი...

ბავშვებო! ეს ფოტოსურათი ილიას სტუდენტობის დროინდელია.

ილიას შავი გრუსა თმა მუანხე აქვს გაუოფილი და აქეთიქით თანაბრად გადავარცხნილი. სმირ შავწარბებიან და შავულებიან ჯაბუქს შავი

სურთუკი, შავი მარჯვენა რიალებული შავი ფეხსაცმელი, განსაძეული თეთრი ზუნანჯი აცვია, შავი ბანტი უკეთია და მარჯვენა ხელით შავი ცილინდრი უკავია. ჩვენ ვვრძობთ, რომ ჯაბუქური ფიქრიანი თვალები ილიას სწავლის, მოქმედების, სამშობლოს დაუღალავი სამსახურის წევრვადით უგისვიჩუხებს.

აი, ასეთი ილია დადიოდა ჰეტერორუგში ჩვეის ან ამაღლების ზროსექტზე, სადაც მას ვაჭრის ცოლის კოლხინას სასლმო უცხოვრია, აი, ასეთი ილია შედიოდა ჰეტერორუგში უნივერსიტეტის შენობაში, სადაც იგი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა და აი, ასეთი ილია სმირად უნახავთ სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად ვასილიევის კუხულის იაფუხისიან სასადაილოში.

ბავშვებო! ეველას წაეთხული ან ნახწავლი ექვანებათ მოთხრობა „მაგდანას ღურჯა“. ამ მოთხრობის ავტორის, ცნობილი ქართველი მწერალი ქალის ეპატერინე გაბაშვილის კადმისცემით, ილიას რუსეთში თავისი ღალა, ანუ გამწრდელიც თან წაჰყოლია. იგი ხნიერი კაცი ეოფილა, მეტისმეტად ერთუკლი ილიასი, შვილივით ჰევარება, უკვლიდა და ეველა სურვილს უხრულებდა თურმე. დედა ვერ გამოიჩენს იმდენ ალურსს და სინანულს, როგორც იხ ელუხი თავისი აღწრდილი-

სადმი იყნდაო. ტანთ ვახდია, როგორც ბაღის, ჩაწვეინდა გამხადებულ ლოკინში, დაუდებოდა ფერხით, თან ხელს უსვამდა თავზე და თან ამბებს ეუბნებოდა, სანამ იმას ჩაეძინებოდა, მერე კი ოთახიდან ფეხკარეფით გავიდოდაო...

1860 წლის აპრილში ილიას მოულოდნელად უძვროსი ძმა თემური გარდაეცვალა. ისიც ჰეტერბურგში სწავლობდა, კადეტთა კორპუსში. ილია მაძიდას სწერდა: „ჩემი ზატარა თემურ სადაა არის, მაძიდავან! დაკარგე ხაუგუნოდ ზირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?!“

მეორე კურსზე გადასულა ილია, როცა ზამთრის დღეებში, კოსტა აფხაზთან ერთად, ცარსკოე სელაში, იქ, სადაც ადრე დიდი რუსი ზოეტი ზუძინი ლიცეუმში სწავლობდა,

სამეგრელოს დეოფალს ეკატერინე ჭავჭავაძეს სწავლიდა. მას ილიასა და მისი მეგობრისათვის უჩვენებია დიდი ქართული ზოეტის ნიკოლოზ ბართაშვილის ლექსები, ილიასა და მის მეგობარს ხელში სჭერიათ ნიკოლოზ ბართაშვილის ხელთ გადაწერილი ზოემა „ბედი ქართლისა“ და ლექსები, მათ შორის, „მერანია“. კოსტა აფხაზი იგონებს, მთელი ერთი კვირა ემაწვილი ბოდავდა ბართაშვილით. თავისი აღტაცება ილიამ ლექსით გამოხატა: „რომ წავიკითხე მისი ლექსები, ვერარა ვოქვი რა განცვიფრებულმა...“

ილია ჰეტერბურგში თურმე ბეურს კითხულობდა. შემორჩენილია სია იმ წიგნებისა, რომლებიც მას სტუდენტობის დროს გადაუკითხავს. კოსტა აფხაზი იგონებს: ილია სულ წიგნების კითხვით იყო გართული. კითხულობდა ძველ

ქართულ წიგნებს. გამოცდილი რომ მოახლოვდებოდა დედას, ილია 18—20 საათს უძვროდა და რამდენჯერ მიხანავს, რომ წიგნზე ჩასძინებია... ხვენ, სტუდენტები, სმირად ვიკრიბებოდით და ვახასობდით ჩვენს დაბეჩავებული სამშობლოს მოძაველსეო...


სტუდენტი ილია გატყვებული ეოფიდა ჯუსეზე გარიბალდით, რომლის წინამძღოლობითაც იტალიელი ხალხის სამშობლოს განათავისუფლებლად ებრძოდა ავსტრიელებს. ერთხანს ილიას იტალიაში წასვლაც კი დაუპირებია. ამ დროს დაუწერია მას ლექსი „მესმის, მესმის...“

ვინც საკურამში ეოფილა, იმას უთოდა უხანავს ილიას მიერ ჰეტერბურგიდან ჩამოტანილი ჯუსეზე გარიბალდის ზორტრეტი, რომელიც დღემდე ამბეუნებს მის საშუაო ოთახს.



ესმის, მესმის ხანატრელი ხალხთ ბორკილის სმა მხვრევისა, სიმართლის სმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვად მონობისა...

აღმიტაცებს ხოლმე ის სმა და აღმიკნენებს იმედს გულში, დმერთო, დმერთო, ეს სმა ტებლი გაბაგონე ჩემს მამულში.




მე მოვალ

ნაწევები პოემიდან

მა, „დედაჩა“, იგი მე
ჩემმა ბაბუამ მანუქა,
რაც მისი კითხვა დავიწვეე,
სხვა თამთა გავსდი მას უკან.
მკონია, მხოლოდ ჩემია,
რაც ამ ფურცლებსე ხატია —
ია, ხე, წყარო, მდინარე,
კოუზი, სურა თუ ბადია.
მე მოვალ, სვალეუ, მე მოვალ
და ვეურდმი ამოგიდგები.
ხატარა თამთა გოგონა
შენი ერთგული ვიქნები.
დე, იბიბინოს მარადეამს
უანამ, მდელომ და მინდორმა,
ჩემთვის, შენთვის და ეველასთვის
ქვეყნად ბრწყინავდეს მშვიდობა.
რაღა კაცები არიან,
ან რანაირი დიდები,
ვინც ხარობს ქვეყნად თმის და
მშვიდობის გადავიდებით.
მე მოვალ, სვალეუ, და ვიცი,
არ იტყვი ჩემსე სამდურავს,
მასწავლე სხვათა ენებიც
და მაკდურტულე ქართულად.
მეც მანკეკე და მამდერე
და ლექსიც დამაწერინე,
ჩემი მშობელი აჭარის
ჭერი ხე ამაწვევინე.
არ დამიღამო ნათელი
ოცნებები და ფიქრები,
მე მოვალ, სვალეუ და შენი
დამმშვენილებელი ვიქნები.

მხატვარი ბასო ხილაშვილი



არაბგველი გმირები

მეამაყება ხსენება
 სამასი არაბგველის.
 მთიდან ჭიხვინა მერნებით
 გამოვლეს შარა გრძელი.
 კრწანისს ჩაღწეეს გულდაგულ.
 მომხდურის ხერხემალი...
 მათთვისაც მზე ჩაესვენა...
 მათაც დახუჭეს თვალი...
 მანამდე მტერს შეამხსვრიეს
 ფარ-შუბი რვაღისანი...
 სიცოცხლედ სწამდათ ვაჟკაცებს
 მამული საფიცარი!

მხატვარი ელზარდ აბოლაძე



ნინო ხაჩიძე

ზემოღომა

ოქროფოთოლა სამოსი
 ტეეს გულზე გაუფენია.
 შიშველი რცხილა ბუბუნებს,
 ციცქნა ნამვისა სცხვენია.
 თითქოსდა ბებერ ქარიშხალს
 ართობს ტეის გაწამაწია.
 აუ, ვეება მუხაც კი
 ღამის ძირს წამოაქცია.
 გული ეღევათ, დამწუნრდნენ,
 რაც თოვლიანი მთებია,
 ჩიტები ქღურტულ-ქღურტულით
 შიშით შორს იბარებდნენ.
 მარანში სუფრა გაშლილა,
 ჰა, შემოდგომაც მსად არი,
 რომ მალე სტუმრად მიიღოს
 თმადათოვლილი ზამთარი.



როცა ნისლი იქნება

პარლი არსენაშვილი

შემოდგომა. ეჰი! ნამდვილი შემოდგომა. ნინო აივანზე დვას და ეზოს დაჰყურებს. აქედან მთელი ეზო მოჩანს, მოჩანს ვენახი და შორს, სოფლის ბოლოს, გზაზე მიმაღალი ავტომანქანები.

ნინო მსხალს უყურებს და უკვირს, ასე რამ გააშიშვლა ორ დღეში. აი, ფითრის ძირში ჩამოკიდებული უკანასკნელი ფოთოლიც მოწყდა. მიწისკენ წამოვიდა, ჯერ ერთ რტოს წამოედო, შემდეგ მეორეს, გვერდი იცვალა და ნელი ტრი-ალით ნახად დააფრინდა ადრე ჩამოყრილ თანამომკვებს.

შიშველია კაკლის ხეც, ვენახის თავში მდგომი ბლებიც და ვაშლებიც.

მარტო ფიჭვია ძველებურად მწვანე. ხმაურით სცვივა გირჩები.

ფუტკრები აღარ გამოდიან სკებიდან. მხოლოდ კაჭკაჭი და ბელურები დაფრენენ ნირშეუცვლელად ეზოში.

ნინო პაპამ სისოხერხი და თოკი გამოიტანა. სათონესთან დაყრილ რცხილასთან მივიდა. საშუალო სისქის ხეები ამოარჩია, შუა-შუა გადაჭრა, შერე სამი ნაჭერი ერთმანეთზე თოკით გადააბა, ძირები გაუწია და სამუყავს მზად იყო.

— გამოხველ, პატარა ქალო! — შემოსძახა პაპამ. — შემა უნდა დახეხრო, მალე ავაციცვდება და ოთახს ვინ გაავითობს!?

პაპამ რცხილის გასხეპილი ტოტი აიღო, სამუყავაზე დადო, მარცხენათი ტოტი დაიკავა, მარჯვენათი სისოხერხი გასწია და გამოსწია, მალე გადახეხა და ნინოს დაეხმაურა:

— შეშის დაწყობას არ მიშველი? — მაგრამ ისეთი კარგი იყო გარინდებული მიდამო, ისეთი ღამაში იყო შემოდგომის წითელ-ყვითელი ფერები და ისეთი საინტერესო იყო შორს, სოფლის ბოლოში მიმაღალი ავტომობილების ცქერა, რომ ნინოს ეზოში ჩასვლა არ მოუნდა.

ნინო ახლა შორს გაიციქირებოდა, შორს, ძალზე შორს, მთებისკენ, სადაც არასოდეს ყოფილა და სადაც უკვე იდო ზამთრის მოახლოების მაუწყებელი თეთრი, ქათქათა თოვლი.

იმ მთებში წასვლა ნინოს ძალიან უნდა, კარგად ახსოვს დედა კოვზს პირთან მიუტანდა და ეუბნებოდა:

— აჯერ, მთიდან კოჭლი ირეში გიყურებს, შეჭამე ფაფა, თორემ დაგცინებს.

ნინოს მართლა ელანდებოდა კოჭლი ირეში, სახეს დედისაკენ მოაბრუნებდა, დააპირებდა კითხვას — „მართლა დამცინებს?“, გააღებდა

პირს, კოვზიც იქვე იყო და სანამ რაიმეს იტყო-
და, ფეფას გადავლახავდა.

ახლა თავის სისულელეზე ედიშება...

მაგრამ მთებში წასვლა მინც უნდა. ზაფ-
ხულში, როცა სოფელში პაპანაქებაა, მთაში
გრილა. ტყე სავსეა ანკრა წყაროებით. მიწა მო-
ფენილია მარწყვით და ხუნწით. შემოდგომაზე
ბევრია ზღმარტლი და წაბლი.

მთის ძირში სოფლებია მიმოფანტული. ნი-
ნოს არც ის სოფლები უნახავს. ერთ სოფელს
შაქრიანი ჰქვია. რატომ ჰქვია შაქრიანი? არავინ
იცის. გაიზრდება და გაიგებს. გაიზრდება და იმ
სოფელში გაემგზავრება, მერე მთაში ავა, აუყ-
ვება ხეებს, მიადგება თოვლის საფარველს და
ცივი, გამძრიული ნაჭურით გაგრიდება.

ზემთ მთებში თუშეთია, თუშეთში ბევრი
ცხვარია. ცხვრის რძისგან კარგი ყველი მზად-
დება.

ნიკო პაპას ძმაპაცი, მწყემსი დათიკო, წელი-
წადში ორჯერ მოდის მათთან: ერთხელ გაზაფ-
ხულზე, როცა ფარა ბლავილით მიეშურება ში-
რაქიდან მთაში, მეორედ შემოდგომაზე, როცა
თუშეთიდან ზამთრის საძოვრებზე მიდიან.

დათიკო ყოველთვის უტოვებს ნინოს ერთ
კვერ ყველს. შოთი პური, თუშური ყველი და ნა-
ღებიანი რძე ყველა საჭმელს ურჩევნია ნინოს,
კიდევ თავლი უყვარს, ჩურჩხელებიც, შინდიც
(ეკ, რამდენი რამ უყვარს!..).

— ნინო! — აივანზე მდგარ ნინოს ელომ
ფიქრი შეაწყვეტინა. — ფიცხები მოვიტანეთ,
ვერ დავრჩებო: პაპა საზამთროდ ცივას მიკე-
თებს.

ბებია ვენახიდან გამოვიდა. დიდი ატამი
კჭირა.

— მოსაწყვეტი დავგრჩენია, შეჭამე!

— ეს რამხელა ატამია!

შემოდგომურა მოშწვანო-მოყვითალო ატამს
ნინომ კანზე ჩამოღვენთილი, გამხმარი წებო შე-
მოაცალა და ჩაპბინა.

— ახლა ფოთლები შევავროვოთ და დაწე-
ვათ.

ბებიამ თვითონ დიდი ფოცხი აიღო, შვილი-
შვილს პატარა გადასცა.

... ჩანეტციანებული ფოთლების გროვები
გაჩნდა ხეების ქვეშ. ასანთს გაჰკრეს. გროვები
აბოლდა, ახრნოლდა, ცუცხლი არ აბრდღვიალე-
ბულა, ჩუმად, უხმაუროდ იწვოდა ფოთლები...

მერე ნისლი წამოვიდა, ნისლიც კვამლისფე-
რი იყო.

ნინო კვლავ აივანზე ავიდა და იქიდან გად-

მოხედა კარ-მიდამოს. ბოლი და ნისლი ერთმა
ნეთში არუღლიყო. ნისლი მოდიოდა და მარჯვენა
და. აღარ ჩანდა მთები, აღარც სოფლის ბორც-
ში მიმავალი ავტომანქანები. მღლე ელოს სახ-
ლიც დაიფარა. ნისლი იბლანდებოდა, იძენებ-
ოდა გამიშვებულ ხეთა ტოტებში.

საღამოს ყველა შეიკრია. ყველა ამინდის
შეცვლაზე ლაპარაკობდა. ყველა ამბობდა, ზამ-
თარი მღლე დადგებო.

— დღე! ელოს პაპა ცივას უკეთებს. მე რომ
არა მაქვს.

— შენც ვაკიკეთებთ. ახლა კი დიდიხე!
ნინო დიღხანს ფიქრობდა.

რა იქნება მღლე მოვიდეს ზამთარი, დიდი
თოვლი დადოს და ნინომ საკუთარი ცივით ის-
რიალოს ნაცარაანთ აღმართზე...

ეხოში კი, ხეთა გამიშვებულ ტოტებში
იძენებოდა შემოდგომის მიწურულის ნისლი.
ნისლი მოდიოდა ფანჯარასთან და ნინოს ყვე-
ლა სურვილის შესრულებას პპირდებოდა.





თუთიყუშ ჟაკოს თავბაღასაკლი

1917 წელი

მამუკა სალუქვაძე

მხატვარი სოფიო კონსტანტინოვი

იყო თებერვლის ცივი საღამო,
ჟაკო ოდესის ოპერის სხვენზე
ბონაპარტივით! ამაყად იჯდა
ქვისგან გამოთლილ პროგრესის ცხენზე.

უცებ, ბინდუნდში, შემოფრთხილდა
ძლიერ დამფრთხალი საფოსტო მტრედი,
საბრალო ისე ფერმკრთალი იყო,
რომ ჟაკს აღმდგარი ეგონა მკვდრეთით.

— რა ხდება გადმა? ხომ მშვიდობაა?! —
ვიდრე მისცემდა ამნაირ კითხვას,
ჩიტ-მოლანდებსა შემკრთალი ჟაკო
აკვირდებოდა ბეჯითად, დიდხანს.

მტრედმა ლულულდით ძლივს ამოდერდა:
— იქ, პეტროგრადში... არ ვიცი... მგონი...
მხოლოდ ეს თქვა და, ფერდაკარგულმა
უმალ ფერივით დაჰკარგა გონი.

— ვ სტალიცე ტონოს სლუწილოს ჩტოტო,
ჟაკოს ფიქრებმა გაუკრთეს ძილი,
ღამე ეჭვებში გაატარა და
ტელეგრაფისკენ გაქანდა დილით.
სალაპარაკო ხალხმრავალ ქალაქს
თუმც იმ დილაძღვეც ალბათ არ აკლდა,
მაგრამ იმ დილით მთელი ოდესა
მართლაცდა ერთხმად ალაპარაკდა.

ყველა გაოგნდა ახალი ამბით,
ქალი თუ კაცი, ყრმა თუ ბებერი,
ვინც კი გაიგო, რომ პეტროგრადში
რევოლუცია მოხდა თებერვლის.

ბოლშევიკებმა დედაქალაქში
სწორად განჭკვიტეს, რა უნდა ექნათ,
და პირველ რიგში, დაუყოვნებლივ,
მათ საბჭოების დაიწყეს შექმნა.

საბჭო შემდგარი იყო მუშათა
და ჯარისკაცთა დეპუტატებით,
ვინც იყო მართლა გამორჩეული
ბრძოლით, სიმტკიცით და თავდადებით.

მათ ქვეყანაში ყველაზე კარგად
იცოდნენ ღარიბ ხალხს რა უჭირდა,
მაგრამ, ცხადია, ბურჟუაზიამ
საბჭოებს მხარი არ დაუჭირა.

და როცა თავად ნიკოლოზ მეფე
ჩამოაგდეს და წაართვეს ტახტი,
ბურჟუაზიამ ვერ მოახერხა
ძველი მონარქის გამოცვლა ახლით.

მერე მცირეხანს, სულ რაღაც რვა თვით,
ხელისუფლება დამკვიდრდა ორი,
მაგრამ ოქტომბრის ძღვევამოსილი
რევოლუციაც არ იყო შორი.

ოქტომბრის დამღვეს, როცა ახალი აჯანყებისთვის მომწიფდა ჟამი და ყველაფერი რადგან მზად იყო, ზუსტად ოცდაოთხ ოქტომბერს დამით, არნახულ ძალით მოაწყდა პიტერს¹ რევოლუციის ახალი ტალღა, თითქმის დღე-ღამის განმავლობაში „ზამთრის სასახლეს“ გარს ერტყა ალყა.

და ოცდახუთში, როცა „ავრორამ“ მისცა ნიშანი შტურმის დაწყების, ბრძოლა დამთავრდა ბურჟუაზიის განადგურებით და დამარცხებით.

ეს გამარჯვება იყო მართლაც რომ ჯერ არნახული და არსმენილი, რომელსაც, სხვებთან ერთად, ჩაგრული ხალხისთვის ჭედდა დიდი ლენინი.

განაგრძო ბრძოლა ბევრმა ბურჟუამ, ვინც გააცოფა ასეთმა მარცხმა, თუმც ზოგიერთმა მაინც არჩია ემიგრანტობა, წასვლა და გაცლა.

მათ შორის გახლდათ პოდპორუჩიკი² ვასილი, ჟაკოს ბოლო პატრონი, მან მიატოვა სახლი, შშობლები,

სამშობლო, ბრძოლა და ესკადრონს³ წაიღო მართლაც დიდძალი ფული, ბრილიანტები, ხრენი და სალა,⁴ და თუმცა ჟაკოს არ სურდა წასვლა, თან გაიყოლა სულ ძალისძალიად.

დეკემბრის დამღვეს, ნავსადგურიდან გავიდა გემი ოღესა — ჰავრი, ნიტი მთელი გზა არაფერს ჭამდა პროტესტის⁵ ნიშნად, ან უფრო — ჯავრით.

1. მონაპოტი — ნაპოლეონ მონაპოტი (1769—1821). ფრანგი მხედრობათმთავარი, შუმდევ — საფრანგეთის იმპერატორი. მან შეძლო მრავალი ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ რუსეთთან ომში დამარცხდა.
2. წინათ უკროსში თეატრების შენობებზე დგამდნენ პროგრესის გზის ქანდაკებას — კაცობრიობის წინსვლის სიმბოლოს.
3. ე სტალინე ტონის ხელნაწილი ნიტოტი (რუბ.) — დედაქალაქში ნაპოლეონ რადე მხიდა.
4. მონარქი — ხახლშიფის ერთპიროვნული მმართველი, ხელშიფი (მეფე, შაჰი, სულთანი და სხვ.).
5. პიტერი — პეტერბურგის (ახე ერქვა წინათ ლენინგრადს) შემოკლებული სახელი.
6. „ავრორა“ — კრესინი, რომელმაც ქვეყნის ზღაღით ნიშანი მისცა რევოლუციის დაწყების.
7. პოდპორუჩიკი — დაბალი წოდების თეთრკანი თეთრგვარდიანი.
8. ესკადრონი — ქვეყნაფეთი ჯარის ცხენოსან ნაწილში, ანუ კავალერიაში.
9. ხრენი და სალა — რუსული ეროვნული საჭმელები (საწებულა და ქონი).
10. პროტესტი — რაიმესადმი უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების გამოხატვა.





ლავრენტი ზიზინაძე

საქმავსვილო ლიტერატურის მოაზარე

თითქმის 50 წლის წინათ, მაშინ, როცა ჩვენს „დიდას“ ვერ დავერსებოდით, ბრელი“ ერქვა, მისი რედაქტორი იყო მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი და პოეტი ჯიჭინაძე. ახლა ლავრენტი ჯიჭინაძე 80 წლისაა და დღესაც დაუცხრომლად იღვწის ქართველი ემანციპაციისთვის — „სონი ლენინელი“, „პიონერი“, „დიდასი“ ჩვენი ბავშვები ხშირად ხედავენ მის მოთხრობებს სკოლებზე, მეგობრობაზე, სამშობლოს ერთგულებაზე, ბუნების და ადამიანების სიყვარულზე. ადრინდელი თაობების მკითხველებს კი ძალიან უყვარდათ ლავრენტი ჯიჭინაძის ისტორიული მოთხრობები: „გზა ისარი“ ვასტანგ კორეასლის შესახებ, „უცხი მამულიძეილი“, „მეფე-გენჯანი“, „ნადირ-შაის სხელი“...

ჯერ „პიონერი“, შემდეგ „ოქტომბრული“ რედაქციებში მუშაობისას ლავრენტი ჯიჭინაძემ მრავალი ქართველი მწერლის და მხატვრის შემოქმედებას გაუხსნა გზა ქართული ლიტერატურის გულუბნისაკენ.

დიდასი საქმული ომის დროს ის სხვადასხვა სამხედრო განყოფილებაში მუშაობდა. ომის შემდეგ მის დაბრუნებულმა კი დღემდე უწყვეტად ჰყავდა მამულიძეილი ტვირთი პედაგოგიურ და სამწერლო ხარისხზე. კიდევ მრავალი შემოქმედებითი სისარული ეუხურეთ, ბავშვობა, მსგოვან მრავალს, საქმული-ლო ლიტერატურის მოაზარე ლავრენტი ჯიჭინაძეს.

ს ი ე ვ ა რ უ ლ ი

გიგა სულ პატარა იყო, ისე პატარა, რომ ჭერ კიდევ არ იცოდა თავისი დაბადების დღე. სამაგიეროდ დედამ იცოდა, დედამ ახსოვდა.

ხსოვდა არის და ხსოვდა! აქაო და ჩემი ბიჭიკა ბიჭის დაბადების დღე მოდისო, დაიწყებდა მზადებას. კი იჭერდა თადარიგს, მაგრამ განა ძალიან ადრე!

არა. წინა დღეს! ნამცხვრებით იცოდა გამასინძლება. მას ნამცხვრების ოსტატს ეძახდნენ.

რა იქნებოდა ისეთი, გიგას დედად არ გამოეცხობ? შინ ყოველთვის ჰქონდა თავისი ნახელავი: ქადა ან „მაკოცე“, კექი ან ჟოზეფინა, ნაპოლეონი ან „დედა და ლამე“. განთქმული იყო მისი გაკეთებული ათასნირად მორთულ-მოკაშული ტორტი და კიდევ რამდენი რამ!

გიგას დაბადების დღისათვის მეტი თუ არა, სამწირი ნამცხვარის მაინც მოამზადებდა ხოლმე. ალუბლის წვენი თუ შეზავებულ ტკბილ ხასმელსაც მიუტანდა ხოლმე ბავშვებს.

გავიდა დრო. ორი თუ სამი წელი.

გიგა წამოიჩიბა, ენაც გამართა. ისწავლა სირბილიც. მეზობელ ბავშვებთან მართო გარბოდა სათამაშოდ. დედა უკრებ თვითონ მას გზავნიდა დაბადების დღეზე ტოლ-ამხანაგების მოსაწვევად. ეტყობდა:

— აბა გიგა, დაუძახე ბავშვებს, უთხარი: დღეს ჩემი დაბადების დღეა, მოდი-თქო!

გიგასაც ერთი თქმის მეტი არ უნდოდა. მაშინვე გაიქცეოდა, გარბოდა, თან დედის დანაბარებს იმეორებდა, თითქოს მღერისო, ისე წარმოთქვამდა: ჩემი დაბადების დღე-

ეო, ჩემი დაბადების დღეეო. შინ რომ ბრუნდებოდა, თან მოჰყვებოდნენ ბავშვებიც. შემოვიდოდა ეზოში თუ არა, დაიძახებდა:

— მოვედით, მოვედით! პატარა სტუმრებს დედაც სიცილით შეეხალისებოდა: — აბა, საყვარლებო, შემოუხედით სუფრას!

ისინი ღორბუცელა ბავშვები როდი იყვნენ. აქაოდა, გემრიელი ნამცხვრებოდაო, კი არ დაეხარებოდნენ. თითო ან ორ-ორ ნაჭერს აიღებდნენ. შემდეგ სათამაშოებს დაუტრიალდებოდნენ. მერე ვინ იცის, რა სათამაშო აღარ ჰქონდა გიგას. ერთი მაინც ისეთი მანქანა იყო, — ოთახში რამდენიმე წრეს უვლიდა შეუსვენებლივ. ოთახის სათამაშოებს რომ მოიყრიებდნენ, ახლა ეზოში გავიდოდნენ. იქ საქანელები იყო და ქანაობითაც იჭერებდნენ გულს. ბოლოს ზოგი ადრე,

ზოგი გვიან წვადიდა და გიგა მარტო რჩებოდა. ახსოვდა დედის დარიგება: სათამაშოები მიმოფანტული არ უნდა გქონდესო, და უყვლას თავის ადგილზე ათავსებდა.

ასე აღნიშნავდა გიგა თავის დაბადების დღეს სკოლაში შესვლამდე. მერე თვითონაც დაისწავლა, როდის იყო მისი დაბადების დღე და ახლა სკოლის ამხანაგებს იწვევდა სტუმრად.

ერთხელ თავისი დაბადების დღის აღნიშვნის შემდეგ გიგამ დედას ჰკითხა:

— დედიკო, ჩემი დაბადების დღე რომ არასოდეს გამოგჩება, შენ არ იცი, როდის დაიბადე?

— როგორ არ ვიცი, შვილო!

— მაშინ მარტო მე რატომ მიმართავ?

— იმიტომ რომ მიყვარხარ. ამ სიტყვებმა გიგა ჩააფიქრა. მერე დედას ჰკითხა, შენი დაბადების დღე როდისაა არისო. დედამ უთხრა. ბავშვმა ჩურჩულით რაღაც გადაითვალა თითებზე და მერე წამოიძახა: ეგ გაისად იქნება, მანამდე ხუთი თვეა დარჩენილიო. ხუთი გაშლილი თითაც უჩვენა.

ეს იყო და ეს.

გავიდა ძველი წელი.

დადგა ახალი.

მიიწურა წამთარი.

ერთ დღეს გიგა შინ მხიარული ხმაურით შემოვიდა.


უკველთვის ასე მტკიცედ ხოლმე და დედას არც ვაკვირებია, მაგრამ მაინც შეეკითხა:

— რაო, რა ამბავი მოიტანე?

— კარგი ამბავი, კარგი. დღეს თებერვლის ოცდაშვიდია. გილოცავ დაბადების დღეს, — თან გაშლილი დღიური მიაწოდა, — შენი დაბადების დღეს აი, ამ ხუთიანი თვევზე, დედიკო! მეც მიყვარხარ! — ახლა უთხრა ხუთი თვის წინათ სათქმელი.


გახარებულმა დედამ წამოიძახა:

— აი, ეს არის ნამდვილი სიყვარული სიყვარულის წილ! — და შვილი გულში ჩაიკონა.



თბილისის ძველი უბნები

შენდება ჩვენი თბილისი,
ხარაჩო გაბეჭურებია.
ძველი უბნები განახლდა,
ვნახოთო, — მითხრა ბებიაძე.
წაუდით, ვნახეთ, რა ვნახეთ:
რა ღამაზია, რა კარგი,
აივნები და ბოძები
სულ ჩუქურთმებით ნაქარგი!
ჩიტების გუნდი იმ სახლებს
ჭიკჭიკით თავსე დაჰხარის.
ძველობა აღარ ეტეობა,
ეველფერი ჩანს ახალი.



ღამით ხორბა

საბავიროზა

მა, გაუძაღეთ ცაში ფრთები,
თითქოს გვიწვევს ცა საუმიროდ,
მივქრით ფერად კალათებით,
რა კარგია საბავირო.
ვის არ უთქვამს ქება მისი,
ჩვენც სიაშით გვიმბერს გული,
ქვევით დარჩა ქუთაისი
ევაგილებში ჩაქარგული.

შემთხვევა ზღვანზე



ბიორაზი გიგაური

შეერია ბიჭი ზვირთებს,
ტალღას გაჭევა გატაცებით,
— შორს ნუ წახვალ, — მისმასიან
ტიტლიკანს „ვაჭყალები“.
ის კი ისე უსვამს ძელაუებს,
მეზღვაური გვეგანებათ,
აინუშიდ არ ჩაგდო
მეგობრების შეგონება.
შეუერთდა წვლი ზეცას,
სილურჯვა ერთიანად.
დაქანცა და დაასუსტა
ტალღებშორის ხეტიალმა.
დაუშორდა სხანაზირო,
ხეივანი დაუშორდა,
შიმით თითქოს გაილია,
თითქოს კიდევ დაუშნოვდა.
„შიმველეთო“, — დაიუვირა,
აწრილდა მთელი ძალით,
ზღაჟისაგან გამოცურა,

ჩაიყენა მუსლში ქარი.
მაგრამ აღარ უოფნის ღონე,
ველარ ცურავს ძველებურად,
მის ნათელი გაიცრიცა,
თვალებს ნისლი დაებურა.
უფრო მეტად აღრიადდა,
დაუშნოვდა უფრო მეტად,
დააღონა ძეგობრები,
თოლიები დააფეთა...
და როდესაც ვეკლა იმედს
შეეკვეცა თეთრი ფრთები,
მეზღვაური მიეშველა,
ათორია ნაფხე თმებით.
თანაც უთხრა:
— თვითნებობას
აქვს კოველთეის ცუდი ბოლო,
მოცურავე სირცხვილისგან
დაეშვავსა წითელ ბოლოკს...

მხატვარი სოფიო კინწარაზილი





სიყვარული კონა

პარლ კობერიძე

ნამცვრები

ახლა რატომღაც ადრე იწყება რთველი, თითქმის სექტემბერთან ერთად მოდის. ადრე კი ოქტომბერში დგებოდა ნამდვილი რთვლობა. ჩვენი წინაპრები ოქტომბერს ამიტომ ეძახდნენ მწიფობისთვეს, — მწიფობისთვეს და ღვიზობისთვეს. ეს სახელწოდება სწორედ უურძნის დამწიფებას გულისხმობს, თორემ მანამდე, აუჰ, რამდენი ხილი მოილევა ხოლმე! — ნაირ-ნაირი ბალი, ნაირ-ნაირი მსხალი, ვაშლი, ატამი, ქლიავი... თავის დროზე რომ იკრიფება უურძენი, ისეთი ტკბილია, თითებს ერთმანეთზე ვიწებებს.

დაიკრიფება უურძენი, დაიწურება, დამაჟრდება, დადუღდება და შერე დაღვინდება. რალა თქმა უნდა, ადრეულა უურძნის ჭიშვიტ ბევრი გვაქვს და ადრეც იკრიფება. მაგრამ ის სუფრის უურძენია — ხილად იჭმევა, საღვინედ კი არ ვარგა.

რომელი ვაზიც ძალიან მსხმოიარე, დახუნძლული, დატკეფილია, იმ ვაზე ავეკით ხოლმე აკიდოს — ზამთრისათვის ასე უფრო კარგად ინახება უურძენი. აკიდო ვაზის, ვენახის, მამული მცოდნემ უნდა აკრას, ვისაც სამამულე რქა არ ეშლება ჩვეულებრივი ღერწისაგან. სამამულე რქის მოკრა არ შეიძლება, ვინაიდან სამომავლოდ სწორედ მას გამოაქვს ნაყოფი.

ჭაგანი ასხმულ მტენებს ჰქვია — ჩემს პატარაობაში სვეზე აჯაგნა ვიცოდით. სვე, იგივე სვია, ხვიარა მცენარეა. ხშირად ისეთი ძნელია მისი მოძებნა-მოგროვება, იფიქრებ, განგებ შეძვრა, გაიხლართა ეკალ-ბარდებშიო. აკიდოებს და ჭაგნებს აივანზე, სხვენში — სანიპოზე ვკიდებთ, ნესტიან ადგილას მალე ფუჭდება, ლებება.

ისე ვერ დაკრეფ ვენახს, ისე ვერ მოირთვლებ, კუფხლები მაინც არ დაგრჩეს. კუფხა-

ლი „მტენის რტოა“, — გვასწავლის ხაბა, „მტენის რტო, რომელზედაც ორი-სამი კიბა-ლია“. „კიმპალი — უურძნის მტენის მხარე, რომელზედაც ორი-სამი მარცვალია“. შემთხვევით დარჩენილი კუფხლები ძალიან ტკბილი და გემრიელია. საერთოდ, რაც ცოტაა, ის აკი უფრო გვეგემრიელებს. ასე, ვენახში შემთხვევით





დარჩენილ კუფლებს ნ ა მ ც ვ რ ე ვ ი ჰქვია — ცვარივით ცოტაა, ცვარივით საძებნი, სალოლო-აო და მოსაფერებელი. ნამცვრევის სინონიმია გოგორა.

ზოგჯერ ნართვლევ ვენახში მკვავებ უურძენს შეხედებით. აი, საიდან გაჩნდა ეს დაუმწიფებელი უურძენი: როცა ვაზიც დონიერია და მიწაც, უურძენი რომ და ის რ ი მ დ ე ბ ა, ვაზის ნამხრევს ახალი მტვერები გამოაქვს. ისიც დაიუვაკილებს, დაისრიმდება ხოლმე, მაგრამ სართვლოდ დამწიფებას ვერ ასწრებს. ასეთ უურძენს მოლოზანა ჰქვია.

პატარაობისას ბევრჯერ მივლია ნამცვრევის საქებნელად — ამას გონგორაზე სიარულს ვეძახდით. ზვრები, ვენახები დაკრფილია. ვაზს ფოთოლი შექცნობია, ალაგ-ალაგ სცვივა კიდევაც. გაიხედავ და, წითლად ანათებს რქაწითელის ნამცვრევი, შავად — საფერავის ნამცვრევი, მწვანად — ბუღეშურისა... კარგი იყო გონგორაზე სიარული!

რაც თავი მახსოვს, არც ერთ შემოდგომას არ ჩაუვლია ისე, რთველში რომ არ ვყოფილი-

ყავ. ჰოდა, როცა რთველში ვარ, დავით გურამიშვილის სტრიქონები მახსენდება: „ვენახის ღვინო გაძვირდა, ქართლს დაემტერა რა ქარი, ვიმცვრივე ქალას ბაბილო ნაქაჩი და ნაქაპარი“.

ბ ა ბ ი ლ ო უ ს უ რ ვ ა ზ ი ა — გარეული ვაზი. მის ნაყოფს კი კ რ ი კ ი ნ ა ჰქვია. ისე ცოტას ისხამს ბაბილო, გეგონება, უყვე მოურთველით და აქა-იქ დარჩენილი ნამცვრევი.

როცა ქართლი ურიცხვი მტრის შემოსევამ გაანადგურა, მაშინ ზვრებიც გავერანდა და ღვინოც ამიტომ გაძვირდაო, — ამბობს დავით გურამიშვილი, — რაკი სხვა გზა არ იყო, ქალაში ბაბილო ვიმცვრივე, გონგორაზე წაველი; ისეთი ცოტა წვენი ჰქონდა, ნაქაჩი — გამოქაჭული გეგონებოდათო. საქაჭავი — ქაჭის გამოსაწური წნებია.

როგორც უყვე ვთქვი, რთველის შემდეგ ვენახში შემთხვევით დარჩენილ კუფლებს ნამცვრევი, გონგორა ჰქვია; ხოლო მის დაკრფას — მომცვრევა, მოკუფხვლა, გონგორის მოგროვება.

ჯუზავე შანულღო

ხვალ თუ დღეს?!

ჯემა და ჯილდა დები არიან, მაგრამ ხასიათით ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჯემას მუდამ პირზე აკერია სიტყვა „ხვალ“.

— ლექსს როდის დაისწავლი? — კეითხება დედა. — ხვალ, — ეუბნება ჯემა.

— ოთახს როდის დაალაგებ? — კეითხება ბებია, — როდის მოქსოვ წინდას? — ხვალ, — უცვლელია ჯემას პასუხი.

ჯილდა კი არაფერს გადადებს სახვლიოდ, ყველაფერს იმავე დღეს აკეთებს.

— დღეს ვისწავლი ლექსს, დღეს დაგალაგებ ოთახს, დღესვე მოქსოვ წინდას, — ამბობს იგი.

ამიტომაც ასწრებს ჯილდა ყველაფერს — სწავლასაც და შინაურ საქმეებსაც.

ჯემა კი ვერაფერს ვერ ასწრებს და მუდამ გასაკეთებელი რჩება ის, რაც იმავე დღეს არ გააკეთა და სახვლიოდ გადადო.

იტალიურიდან თარგმნეს: ედიშერ გიორგაძემ და გიორგი ცქიტიშვილმა.



202.81

საქართველოს
წიგნების ცენტრი
თბილისი

ბიზნიუსა

მკ, კარგი კია!

ახიანდილ აღიუზვილი

— მამა, ეს პაწაწკი-
ნტელა რა არის?!
— ეს, შვილო, კომპი-
უტერია!
— კამფეტი?
— არა, შვილო, ეს
გამომთვლელი მიკ-
რომანქანაა!
— თვლის?
— ოო, აი, ამ პაწაწკი-
ნტელას შეუძლია
ყველანაირი ციფრი

გამრავლოს, გაყოს,
აიყვანოს ყველა ხა-
რისხში და მოგვცეს
ზუსტი პასუხები! ნა-
ხე, ხელისგულში
იმალება!
— ეჰ, კარგი კია, მაგ-
რამ ეს რომ თავში
იმალებოდეს, თქვენი
საყვედურებიდან ხომ
ამოვიდოდი, გამრავ-
ლება-გაყოფა არ
იცისო!

მხატვარი ნანა სულჰეშეაშვილი



მინილ ქვლივიძე

გოგის პასუხი

გოგის ჰკითხეს: დედაშენი
მართლა ქიმიკოსია? —
არაფერიც, — უთხრა გოგომ, —
დედა მამიკოსია.

ქუერპენსი ქაქლავი

გაკანთე

მისივე ხარიტონაშვილი

მწერი არის პაწია,
კრელი კაბა აცვია,
უველას უუვარს ძალიან,
სიხარულის მაცენია.

ბელა შიშინაშვილი

ტუის მშენებას ეძახიან,
ბალახსა ხძოვს უწყინარი,
აქვს ღამაში თვალეები და
ბეურზე ბეური შავი ხალი,
თუ კი საფრთხე იგრძნო, უმალ
გაფრინდება, როგორც ქარი.

„დილა“ №10-ში დაბეჭდილი
ამოცანის დამტკიცება

ორი მუხობელი ნატურალური რიცხვის (კენტი და ლუწი რიცხვების) ჯამი ყოველთვის კენტი რიცხვია. ახლა, თუ ავიღებთ ერთმანეთის მომდევნო ათ რიცხვს და მათგან ხუთ წყვილს შევადგენთ ისე, რომ თითოეულ წყვილში ერთიმეორის მუხობელი რიცხვები შედიოდეს, ყოველი წყვილი შეკრებისას კენტ რიცხვს მოგვცემს. მივიღებთ 5 კენტ რიცხვს. ხუთი კენტი რიცხვის ჯამი კი ყოველთვის კენტია!

ქვემოთაა
საქართველოს
საქართველოს

საქართველოს ალექს ცე-ისა და ვ.ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1928 წლიდან.
საქ. კ. ცე-ის გამოშვებულა.

შთავარი რედაქტორი
პეტრე ნიშანაძე

ხარედაქციო კოლეგია: მუშარაშვილი ანტონა, მამუკაშვილი ანტონა, ლაბოლა ბაბუა, შირი ჯაბითიაშვილი, სოლომონი დავითაშვილი, მამუკაშვილი, ლეონი პრაბი, ბელა ლოსიაშვილი, მამუკაშვილი, მამუკაშვილი, ჯანა ნაირაძე, პიონატი რიშინაშვილი (სამხატვრო რედაქტორი), მინატი ნაღაშვილი (პეტი, მღვიანა), პიონატი ნაღაშვილი, პიონატი ნაღაშვილი, პიონატი ნაღაშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
ანა ნიშანაძე

მისამართი: რედაქციის, გამოცემის, სტამბის – თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქციის 93-41-30, 93-98-15; პეტი, მღვიანის 93-10-32, 93-98-18; სახ. რედაქციის 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაცა ასევე 12.09.86, ხელმოწერა და დაბეჭდილი 4.11.86, ქალაქის ზღმა 60x90/8, ფურ. ნახ. ფურ. 2,5, ტირაჟი 168.000, შეჯავა 2130

ელზე ნახატი მუშარაშვილი



«Дила» («Друа»), ежемесичный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В.И.Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Эвянер Нишарадзе (тел. 93—41—30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №2130.

გეომეტრიული ფიგურები



საბავშვო სასწავლო მასალის განყოფილება

შედა ნახატზე ვეხვალა სხვადასხვა ფორმის ფიგურას თავ-თავისი სახელი აწერია. ბურთივით ძრგველი ფიგურა წრეა. თხზვერდიანი და ოთხკუთხიანი ფიგურებიდან ერთი კვადრატია, მეორე – ტრაპეცია, მესამე – რომბი, მეოთხე – მართკუთხედი. დააკვირდი, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, ან როგორია სამკუთხედი? დაიმსხვინე? ახლა ჯერ შედა ნახატზე მონახე სხვა ასეთივე ფიგურები და თქვი; რომელი ფიგურა აკლია. მერე ქვედა ნახატსაც კარგად დააკვირდი – რა ფიგურა აკლია და რა არის შედმეტი? უფროსებისაგან შეგიძლია შეიტყო იმ შედმეტი ფიგურის სახელიც.